

მკვლელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით

მკვლელობა უმძიმესი დანაშაულია, რომელიც თან სდევს საზოგადოებას მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. მკვლელობის განსაკუთრებული საშიშროება ადამიანის უმთავრესი, ძირითადი ალუდგენელი ღირებულების – სიცოცხლის მოსპობაში გამოიხატება. სიცოცხლე ადამიანის უძვირფასესი უფლებაა სხვა ფუნდამენტურ უფლებებს შორის, შესაბამისად, ქართული სახელმწიფო დასაბამიდან დღემდე იცავს მას სისხლისსამართლებრივი წესით. მკვლელობის გამო პასუხისმგებლობის საკითხი ოდითგანვე წარმოადგენდა მეცნიერთა თუ პრაქტიკოს იურისტთა ყურადღების საგანს. მის აქტუალობაზე მიგვითითებს ჩვენამდე მოღწეული უძველესი სამართლის ძეგლები, რომლის მიხედვითაც ძველი საკანონმდებლო აქტები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობებს, განზრახ მკვლელობას და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას.

წარმოდგენილ ნაშრომში გვინდა განვიხილოთ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაული – მკვლელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით.

მკვლელობა როგორც დღეს, ასევე უძველესი დროიდან ითვლებოდა მძიმე დანაშაულად, მაგრამ სისხლის სამართალი ყოველთვის ერთგვაროვნად არ უყურებდა ამ ბოროტებას, ან უკეთ რომ ვთქვათ, კაცობრიობას თითოეული მკვლელობა ყოველ ჟამს ცოდვად და სააუგოდ არ მიაჩნდა [5, 221]. ახლანდელის მსგავსად, ისტორიულად, ბრძოლის დროს ომში მტრის მოკვლა არა თუ დანაშაულად, არამედ, პირიქით, სასახელო საქმედ ითვლებოდა.

VIII – X საუკუნეების საქართველოში კაცისკვლა საკმაოდ გავრცელებული დანაშაული იყო. ამ მხრივ ყურადსაღებია გიორგი მერჩულეს მიერ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოთხრობილი ერთი ეპიზოდი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, რომ IX საუკუნის საქართველოში შესაძლებელი იყო ადამიანის მოსყიდვა მკვლელობის ჩასადენად, ანუ მკვლელობის შეკვეთა. ნაწარმოების მიხედვით, ანჩის ეპისკოპოსმა ვინმე ცქირმა თავისი მამხილებლის და მტრის, გრიგოლ ხანძთელის, მოკვლა განიზრახა. ჩანაფიქრის განსახორციელებლად „ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტვ და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა“ [5, 222].

ყურადსაღებია აგრეთვე ორიოდე ცნობა, რომელიც მოიპოვება გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ გადაურჩა ორჯერ შემთხვევით სიკვდილს ექვთიმე მთაწმინდელი ათონის მონასტერში: პირველად, როდესაც გაბოროტებულმა და გაშმაგებულმა მონაზონმა სცადა მისი მოკვდინება მახვილით, ხოლო მეორედ, მონასტრის მეზოსტნე შეეცადა მისთვის სიცოცხლის მოსწრაფვას. ორივე ზემოთ მოთხრობილი ამბავი საგულისხმოა, რადგან ნათლად გვიჩვენებს: „თუ რამდენად დაუმონებელი ყოფილა ჯერ კიდევ მაშინ ადამიანის ვნებათა ღელვა: თუკი მონასტერშიც, მონაზონებს შორის, რომელთაც ყოველსავე ქვეყნიურზე და ხორციელზე უარი ჰქონდათ ნათქვამი და მართოდენ თავიანთ სულიერსა და ზნეობრივ გასპეტაკებაზე უნდა ეზრუნათ, შესაძლებელი ყოფილა, რომ

ადამიანი გულისწყრომას კაცისკვლამდე მიეყვანა, რამდენად უფრო ხშირი იქნებოდა იმ დროს ეს შემზარავი ბოროტმოქმედება ხალხში, სოფლიოთა შორის“ [5, 223].

ძველი ქართული სისხლის სამართალი მკვლევლობას სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავდა, როგორცაა: „მოკლვაი“, „კაცისკლვაი“, „მკულელობა“.

IX – X საუკუნეებამდე ღალატით ჩადენილი მკვლევლობის აღსანიშნავად შემდეგი ტერმინები გამოიყენებოდა: ჩასაფრების აღსანიშნავად – „მზირად წასლვაი“, ან „მზირ ყოფაი“, ზურგიდან დაცემის აღსანიშნავად – „კაცისკვლაი მიპარვითა“, ხოლო რაც შეეხება პირს, რომელიც აღნიშნულ დანაშაულს ჩაიდენდა, ეწოდებოდა – „კაცისმკულელი მიპარვითა“.

მკვლევობა მატერიალურ დანაშაულს მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შედეგს, ანუ ადამიანის სიკვდილის დადგომას. ამ შემთხვევაში აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჩადენილ დანაშაულსა და დამდგარ შედეგს შორის, რომელიც არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედებამ გამოიწვია შედეგი, ე. ი. ქმედების განხორციელების გარეშე შედეგი არ დადგებოდა. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით მკვლევობა შეიძლება როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით, ძველ ქართულ სისხლის სამართალში ძირითადად კრიმინალიზებულია მოქმედებით ჩადენილი მკვლევობა, რომელიც ხორციელდება ადამიანის სხეულზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედებით. რაც შეეხება ობიექტს, ძველი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, მკვლევობის ობიექტს წარმოადგენდა მხოლოდ სხვა ადამიანის სიცოცხლე, რომელიც, როგორც უპირველესი მონაპოვარი, დაცული იყო საკანონმდებლო კრებულების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი წესით დაბადებიდან სიკვდილამდე.

საინტერესოა განვიხილოთ თუ როგორ წყვეტდა ძველი ქართული სისხლის სამართალი დანაშაულის, კონკრეტულად კი მკვლევობის სუბიექტთან დაკავშირებულ საკითხებს. იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ ყოფილიყო დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტად, სახეზე უნდა ყოფილიყო ორი ძირითადი პირობა: ასაკი და შერაცხაობა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად განიხილავდა. იოანე მმარხველის კანონის თანახმად, პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა დაწესებულიყო 30 წლის ასაკიდან, მაგრამ აღნიშნული ნორმის დასაბუთებულობა ეჭვქვეშ დააყენა ივანე ჯავახიშვილმა, მისი მოსაზრებით საეჭვოა, შერაცხვის ასაკად დაწესებული ყოფილიყო 30 წელი, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 20 - 22 წლის ახალგაზრდა სამხედრო მოღვაწეობისთვის სრულფასოვან მოქალაქედ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის აზრით, შეურაცხველობის ზღვარი უნდა ყოფილიყო სქესობრივი სიმწიფის ასაკი – 15 - 16 წელი ან მაქსიმუმ 20 – 22 წელი, როგორც სამხედრო სრულწლოვანების ასაკი.

დანაშაულის ჩამდენის ასაკის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახტანგ VI - ის სამართლის წიგნი, რომლის 187-ე მუხლში ნათქვამია: ათ წლამდე ყმაწვილი პასუხს არ აგებს, ვინაიდან მისი მოქმედება მიჩნეულია, როგორც შეუგნებლობით, უმეცრებით გამოწვეული და გათანაბრებულია „ფათერაკთან“. ამ შემთხვევაში მშობლებს ეკისრებათ ზიანის ანაზღაურება - მკვდარს აძლევს სამარხს და დაჭრილს სააქიმოს [1, 204]. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროფესორ ვ. მეტრეველის აზრით, „ფათერაკი“ უფრო ახლოსაა გაუფრთხილებლობასთან, რადგან მშობლებს აკისრებს ქონებრივ პასუხისმგებლობას [2, 270]. „ფათერაკის“ საკითხს კიდევ უფრო დეტალურად მიმოიხილავს მეცნიერი ივ. სურგულაძე, მას მაგალითად მოჰყავს

ლიტერატურული ნაწარმოები „ამირანდარეჯანიანი“, სადაც ხშირად გვხვდება ეს ტერმინი, რომელიც გამოიყენება შემთხვევის, ხიფათის, უბედურების სინონიმად [3, 119].

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტაში, ასაკთან ერთად, მნიშვნელოვანია შერაცხაობის საკითხი. საეკლესიო სამართლის მიხედვით, არსებობს შეურაცხაობის ორი სახე: „უმეცრებაი გონებისაი“, და „ფრიადი უძლურებაი გონებისაი“ – რა დროსაც სახეზე გვაქვს ფსიქიკური დაავადება. როგორც პროფესორი ალ. ვაჩიშვილი ამბობს: „არ შეგვიძლია დავუშვათ ისეთი მდგომარეობა მართლმსაჯულების სფეროში, როცა სულით ავადმყოფი ვითომც ბრალეულად ითვლებოდა და მას დაკისრებული ჰქონდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“ [1, 207]. ჩვენი აზრით, აღნიშნული მსჯელობა მართებულია, რადგან დაუშვებელია სულით ავადმყოფისადმი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

ძველი ქართული სისხლის სამართალი მკვლევლობის სუბიექტურ მხარეს ადამიანის პასუხისმგებაში მიცემისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. სუბიექტურ მხარეში იგულისხმებოდა პირის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესი, რაც უშუალო კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან. სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებულია ბრალის საკითხი. ბრალთან მიმართებაში სერიოზული დისკუსია იყო ოდითგან, ეს კამათი ახლაც გრძელდება. ძირითადად ბრალის ორი გაგება არსებობს: ფსიქოლოგიური და ნორმატიული. ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბრალი ეს არის ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი, ხოლო ნორმატიული თეორიის მიხედვით, ბრალი არის პირის სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. ბრალის ორი ფორმა არსებობს: განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომელიც იქმნება ნებელობითი და ინტელექტუალური მომენტების შერწყმის შედეგად. მეცნიერ იურისტთა მოსაზრების თანახმად, ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის განვითარების დონე შეიძლება შეფასდეს იმის და მიხედვით, რამდენად კარგადაა მოწესრიგებული ბრალის საკითხი. ამ თვალსაზრისით საქართველო კარგ მდგომარეობაშია, ბრალეულობის პრინციპი ასახულია როგორც საეკლესიო, ასევე საერო ხასიათის სამართლის ძეგლებში.

gamoyenebuli literatura

1. ვაჩიშვილი ალ. 1946. *ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან*. ტომი I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. მეტრეველი ვ. 2002. *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია*. თბილისი: მერიდიანი.
3. სურგულაძე ივ. 1984. *ქართული სამართლის ისტორიის წყაროები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
4. უგრეხელიძე მ. 1997. *აშშ კონსტიტუცია, კომპრომისის ხელოვნება*. თბილისი: ჯისიაი.
5. ჯავახიშვილი ივ. 1984. *თხზულებანი 12 ტომად*. ტომი VII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Homicide According to the Ancient Georgian Law

Summary

Homicide is the most serious crime in the world, because a person loses the main value – his/her life. The scale of this dangerous phenomenon is very large, for example: murder of a human, assassination, genocide and others.

Therefore, this crime was always grave not only in Georgia, but around the world. Our ancient legislation determined the degree and the nature of homicide. During this time ancient legislative acts distinguished homicides committed under mitigating and aggravating circumstances, premeditated homicide and negligent manslaughter.

The presented article discusses the gravest crime committed against a human's life – homicide according to the ancient law.

The Georgian ancient legislative acts formulated subjective and objective sides of homicide, as well as the issues related to the age of a murderer and his / her sanity. The concept of justice presents the definitions of guilt formulated in the theory of Criminal Law (physiological and normative), as well as a wide spectra of juridical terms that were firmly implemented in the ancient Georgian Criminal Law.

Different types of homicide were committed in Georgia in VIII-X cc. It was a difficult period. During this time homicides both by order and by self-interest were widespread. The above mentioned crimes could be committed not only in secular but also in religious sphere of life.

Homicide is considered to be the most dangerous manifestation of crime in the modern world what is demonstrated by a number of theses and researches.

The crimes against human life is the subject of discussion in both Universal and Regional international organizations. Homicide is considered to be the most dangerous problem in post Soviet countries. Georgia is not an exception.

Nowadays, people, who think progressively, defend and respect human rights. If a country is able to provide an appropriate defense of human rights, it is democratic. Human rights are the most important issue of democracy, political and civil cultures and safety. Talking about human rights, I mean those rights, which each individual has. An individual cannot be deprived of these rights.

Everyone is born as a free and equal individual. Human rights are recognized everywhere, ethical and moral values are shared in almost all regions of the world.

The fundamental principles of human rights: the right of life and the right of equality which are the main features of free, democratic system. Its fundamental essence is "To protect people's life and people's equality in the face of law."

Right on life is the most precious and fundamental rights among the human rights. Therefore, this right has always been specially protected by criminal law at any stage of our country's state or public development.

Any successful country in the world protects fundamental rights of humanity. According to the declaration of Independence of the United States adopted in the 4th of July 1776 : “all Men are created equal that they are endowed by their Creator with certain unalienable Rights, that there is Life, Liberty, and the Pursuit of Happiness among them” [4, 231].

Protection of a human’s life and the equality among the people is a pivotal precondition for the formation of the developed, democratic state. Democratic state is a rock-bottom to create and develop healthy society.

In our opinion, the basic sources of Georgian Law and juridical researches is a comprehensive guide for scholars and those studying ancient Georgian Criminal Law and interested in the problems and fundamentals of felony directed against a human life.